საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/221 "9" დეკემბერი 2020 წ.

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

## მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე მოსამართლის კონკურსის გარეშე დანიშვნის საკითხის ინიცირების თაობაზე

1. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლისა და „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის $13^1$ მუხლის მე-4 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ინიცირებულ იქნეს თანამდებობაზე დანიშნული მოსამართლის რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ კონკურსის გარეშე, თავისი უფლებამოსილების ვადის ფარგლებში, დანიშვნის საკითხი საერთო სასამართლოებში არსებულ მოსამართლის შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

ა) თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა - 1 საშტატო ერთეული;

ბ) თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა - 1 საშტატო ერთეული;

გ) თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა - 1 საშტატო ერთეული;

დ) თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია - 1 საშტატო ერთეული;

ე) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა - 1 საშტატო ერთეული;

ვ) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა - 1 საშტატო ერთეული;

ზ) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა - 1 საშტატო ერთეული;

თ) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია - 1 საშტატო ერთეული;

ი) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია - 1 საშტატო ერთეული;

კ) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია - 1 საშტატო ერთეული;

ლ) თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგია - 1 საშტატო ერთეული;

მ) ახალქალაქის რაიონული სასამართლო - 1 საშტატო ერთეული;

ნ) ახალქალაქის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში - 1 საშტატო ერთეული;

ო) ახალციხის რაიონული სასამართლო მაგისტრატი მოსამართლე ადიგენის მუნიციპალიტეტში - 1 საშტატო ერთეული;

პ) ახალციხის რაიონული სასამართლო მაგისტრატი მოსამართლე ასპინძის მუნიციპალიტეტში - 1 საშტატო ერთეული;

ჟ) ახალციხის რაიონული სასამართლო მაგისტრატი მოსამართლე ბორჯომის მუნიციპალიტეტში - 1 საშტატო ერთეული;

რ) ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია - 1 საშტატო ერთეული;

ს) ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია - 1 საშტატო ერთეული;

ტ) ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია - 1 საშტატო ერთეული;

უ) გურჯაანის რაიონული სასამართლო - 2 საშტატო ერთეული;

ფ) ზუგდიდის რაიონული სასამართლო - 1 საშტატო ერთეული;

ქ) ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში - 1 საშტატო ერთეული;

ღ) რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია - 1 საშტატო ერთეული;

ყ) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია - 1 საშტატო ერთეული;

შ) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია - 1 საშტატო ერთეული;

ჩ) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია - 1 საშტატო ერთეული.

2. აღნიშნულ თანამდებობებზე დანიშვნის მსურველ მოსამართლეთა მიერ განაცხადების წარდგენა განხორციელდეს 2020 წლის 10 დეკემბრიდან 16 დეკემბრის ჩათვლით.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი
საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი